

ჯინიაი ჟინიაი

შეთანხმება № HIND-MED-PED12114/14

ქ. თბილისი

30.06.2014წ.

სს სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი (204426674) (შემდგომში „მზღვეველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ბ/ნ პაატა ლომაძისა და ფინანსური დირექტორის ბ/ნ ლევან ზუროშვილის მიხედვით პირის ბ-ნ კონსტანტინე მანუგალაძის მიერ, მარტვილის მუნიციპალიტეტის ნახურცილაოს საჯარო სკოლა-... (შემდგომში ორგანიზაცია) წარმოდგენილი მისი -დირექტორის ქ-ნ აზა გადელია მიერ მეორეს მხრივ, მარტვილის მუნიციპალიტეტის ნახურცილაოს საჯარო სკოლის-... თანამშრომლები, რომლებიც მოცემულნი არიან წინამდებარე შეთანხმების დანართ 2 ში და აღნიშნულ დანართზე ხელმოწერით ადასტურებენ რომ იცნობენ წინამდებარე შეთანხმებას იღებენ მასში მითითებულ ვალდებულებას და სრულად ეთანხმებიან მას, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას მზღვეველის მიერ დამტკიცებული დაზღვევის საერთო წესების შესაბამისად თანხმდებიან შემდეგზე

1. შეთანხმების საგანი

წინამდებარე შეთანხმება ერთის მხრივ ითვალისწინებს მზღვეველის ვალდებულებას გაუწიოს შეთანხმების დანართი № 2- ში განსაზღვრულ დაზღვეულ პირებს, რომლებიც წარმოადგენენ ორგანიზაციის თანამშრომლებს და მათ ოჯახის წევრებს, მათი ქონებრივი და ფინანსური ინტერესის დასაცავად, დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის სრულად ან პრემიის პირველი შენატანის გადახდისა და წინამდებარე შეთანხმებაში განსაზღვრული გადახდის გრაფიკის დაცვის სანაცვლოდ სადაზღვევო მომსახურება. დაზღვევის პირობები ასახულია წინამდებარე შეთანხმების დანართ N1-ში.

მეორეს მხრივ „ორგანიზაცია“ ითვალისწინებს რა შეთანხმების დანართ № 2- ით განსაზღვრულ დასაქმებულთა ნებას, განხორციელონ თავისი და/ან ოჯახის წევრების დაზღვევა სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგში“ და აცნობიერებს დასაქმებულთა მიერ ნაკისრ ვალდებულებას, რომელიც შეეხება ყოველთვიური სადაზღვევო შენატანის (პრემიის) გადახდის მნიშვნელობას.

დასაქმებულთა და „ორგანიზაციის“ შორის წარმოშობილი ურთიერთობის გამარტივებისა და ორგანიზების მიზნით, „ორგანიზაციის“ მიერ ყველა იმ დასაქმებულისათვის, რომელმაც მას მიმართა წერილობითი თხოვნით ასეთის შესრულებაზე, ხელფასის ჩარიცხვისთანავე უზრუნველყოფს ყოველთვიური სადაზღვევო შენატანის (პრემიის) შესაბამისი ოდენობის დაკავებასა და გადარიცხვას შეთანხმებაში მითითებულ „კომპანიის“ საბანკო ანგარიშზე, რაზედაც დასაქმებულები წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით გამოხატავენ მათ ნებას და შესაბამისად აფიქსირებენ წინასწარ თანხმობას.

2. განსაზღვრებანი

ქვემოთ მოცემული ყოველი განსაზღვრება ინარჩუნებს აღნიშნულ მნიშვნელობას ამ დოკუმენტის ნებისმიერ ნაწილში.

- 2.1. მზღვეველი - სს « სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი » - პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის და რომელსაც კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია.
- 2.2. ორგანიზაცია მარტვილის მუნიციპალიტეტის ნახურცილაოს საჯარო სკოლა-, რომელიც ორგანიზებას უწევს მზღვეველის მიერ სადაზღვევო პრემიის მიღებას, შესაბამისად, დამზღვევ პირთა მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდას და რომელიც ამავდროულად წარმოადგენს დამზღვევებთან შრომით ურთიერთობაში დამსაქმებულს;
- 2.3. დამზღვევი -წინამდებარე ხელშეკრულების მხარე ფიზიკური პირი (№2 დანართში მითითებული ორგანიზაციის თანამშრომელი/თანამშრომლები), რომელიც თავისი ან/და მესამე პირების სასარგებლოდ დებს დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან და ორგანიზაციის მეშვეობით იხდის პრემის.
- 2.4. დაზღვეული - დამზღვევის მიერ წარმოდგენილი წინამდებარე ხელშეკრულების დანართი № 2- ში მითითებული პირები, რომლებიც იმყოფებიან დამზღვევთან შრომით ურთიერთობაში და რომელთა სასარგებლოდაც ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა. დაზღვევას არ ექვემდებარებიან პირები, რომლებიც დაზღვევის მომენტში იმყოფებიან ჰოსპიტალურ მკურნალობაზე, მწოლიარე ავადმყოფები, პირები, რომელთაც არ შეუძლიათ დამოუკიდებელი გადაადგილება ან/და სჭირდებათ დამხმარე ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აქტივობის შესასრულებლად.
- 2.5. მოსარგებლე - დაზღვეული, სამედიცინო დაწესებულება ან ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;
- 2.6. სადაზღვევო პოლისი/ბარათი - განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელ დოკუმენტი, რომელსაც ფლობს დაზღვეული.
- 2.7. სადაზღვევო შემთხვევა -- სადაზღვევო ხელშეკრულებით/პოლისით განსაზღვრული შემთხვევები, რომელთა დადგომისას წარმოიშობა მზღვეველის ვალდებულება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულების/პოლისის პირობების შესაბამისად.
- 2.8. დაუზღვეველი შემთხვევა - გარემოებები, მომსახურებები რომელზეც საერთოდ არ ვრცელდება დაზღვევის მოქმედება - ეს უკანასკნელი საერთოდ არ არის მოხსენებული სადაზღვევო ხელშეკრულებაში, სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებულ მომსახურებათა განმარტებებში და/ან დაზღვეულის სადაზღვევო პოლისში/ბარათში.

- იელშეკრულების მოქმედების ვადა - მინიმუმ 1 წლიანი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სადაზღვევო ხელშეკრულება არის ძალაში;
- 2.10. სადაზღვევო პერიოდი - დროის შუალედი, რომელიშიც მოქმედებს დაზღვევა. მზღვეველის მიერ ანაზღაურდება ამ პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები მხოლოდ სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე;
 - 2.11. სადაზღვევო პრემია - დამზღვევის მიერ გადასახდელი სადაზღვევო პოლისის წლიური ღირებულება;
 - 2.12. სადაზღვევო ანაზღაურება - სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მოსარგებლისთვის გადასახდელი თანხა;
 - 2.13. გეოგრაფიული ლიმიტი - დაზღვევის მოქმედების გეოგრაფიული არეალი; წინამდებარე დაზღვევა მოქმედებს საქართველოს ფარგლებში;
 - 2.14. სამედიცინო კონტრაქტორი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მზღვეველთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ვალდებულია დაზღვეულს აღმოუჩინოს შესაბამისი სამედიცინო დახმარება სადაზღვევო ხელშეკრულებითა და პოლისით განსაზღვრული მომსახურების ფარგლებში;
 - 2.15. მოცდის პერიოდი - პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვეულს მზღვეველის მიერ არ აუნაზღაურდება სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
 - 2.16. დაფარვა - სადაზღვევო პოლისში/ბარათში მითითებული პროცენტული წილი, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს დაზღვეულს სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
 - 2.17. თანაგადახდა - დაზღვეულის მიერ გადასახდელი სამედიცინო მომსახურებისათვის მთლიანი ღირებულების ნაწილი;
 - 2.18. ლიმიტი - სადაზღვევო პოლისში მითითებული ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი კონკრეტული მომსახურებისთვის, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს დაზღვეულს სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
 - 2.19. სადაზღვევო თანხა - ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს დაზღვეულს სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
 - 2.20. ინდივიდუალური გამოუმუშავებელი პრემია - საერთო სადაზღვევო პერიოდის შიგნით აღებული კონკრეტული თარიღისათვის კონკრეტული დაზღვეულის გამოუმუშავებელი პრემია წარმოადგენს სხვაობას მისი მთლიანი ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის შესაბამის ჯამურ პრემიასა და ინდივიდუალურ გამოუმუშავებელ პრემიას შორის;
 - 2.21. საერთო გამოუმუშავებელი პრემია - საერთო სადაზღვევო პერიოდის შიგნით აღებული კონკრეტული თარიღისათვის სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამის გამოუმუშავებელ პრემიას შეადგენს ინდივიდუალური გამოუმუშავებელი პრემიების ჯამი;
3. ძირითადი დებულებები
 - 3.1. წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე განხორციელებული სადაზღვევო მომსახურების პირობები მოცემული იქნება №1 დანართში, და წინამდებარე შეთანხმებასთან ერთად არეგულურებს დაზღვეულთან დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთიერთობას.
 - 3.2. სადაზღვევო შეთანხმების გაფორმებისას დაზღვეულ პირთა სრული სია მოცემულია № 2 დანართში ცხრილის სახით და მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
 - 3.2.1. დაზღვეულის სახელი, გვარი;
 - 3.2.2. პირადი ნომერი;
 - 3.2.3. დაბადების თარიღი;
 - 3.2.4. მისამართი, ტელეფონი;
 - 3.2.5. სამუშაო ადგილი და თანამდებობა (თანამშრომლის შემთხვევაში);
 - 3.2.6. სამსახურში აყვანის თარიღი და სამსახურში აყვანის ბრძანების ნომერი (თანამშრომლის შემთხვევაში);
 - 3.2.7. ოჯახის წევრის შემთხვევაში ნათესაური კავშირი დაზღვეულ თანამშრომელთან მიმართებაში;
 - 3.2.8. შერჩეული სადაზღვევო პოლისი, შესაბამისი პრემია;
 - 3.2.9. შერჩეული მოდული (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი პრემია;
 - 3.2.10. ჯამური პრემია (სადაზღვევო პოლისისა და მოდულის ჯამური ღირებულება);
 - 3.2.11. შერჩეული სამედიცინო დაწესებულება.
 - 3.3. დაზღვევა იწყება სადაზღვევო ბარათში მითითებული პირველი დღის 00.00 საათზე; და მთავრდება პოლისში მითითებული ბოლო დღის 24 (ოცდაოთხი) საათზე (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ადგილი აქვს დაზღვევის ვადაზე აღრე გაუქმებას).
 - 3.4. შეთანხმება წინამდებარე შეთანხმებისა და მის საფუძველზე გაცემული ყველა დანართისა და ცვლილებისაგან.
 - 3.5. თუ დაირღვა წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული არსებითი გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, მზღვეველს არ მიეწოდა ინფორმაცია და/ან ინფორმაცია შეიცავდა არასწორ მონაცემებს, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება დაზღვევით ნაკისრი ყოველგვარი მოვალეობის შესრულებისაგან.
 - 3.6. მზღვეველი თავისუფლდება დაზღვევით ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდგომაც, თუ გარემოებამ, რომლის შესახებაც დაირღვა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გავლენა იქონია სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე და მზღვეველის მოვალეობის შესრულებაზე.
 - 3.7. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პოლისის/ბარათის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში, მზღვეველი გასცემს ბარათის ასლს. ამის შემდეგ დაკარგული ბარათი უვარგისად ჩაითვლება, ხოლო ასლის გაცემასთან დაკავშირებულ ხარჯს 10.00 (ათი) ლარის გაიღებს დამზღვევი,

ამ შეთანხმებით გათვალისწინებული სადაზღვევო მომსახურება ვრცელდება და შესაბამისად ანაზღაურდება მხოლოდ იმ სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანი/მისი ნაწილი რომლის ანაზღაურებაც არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო ან ადგილობრივი, თუ სხვა სამედიცინო პროგრამებით ან სხვა სადაზღვევო კომპანიების პოლისებით (მიუხედავად აღნიშნული დაფინანსების/პროგრამის ამოქმედების ვადისა), წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

4. განცხადებები და გარანტიები
- 4.1. დამზღვევი აცხადებს, რომ გააჩნია ყველა საჭირო თანხმობა და ნებართვა იმისათვის, რომ დადოს ეს შეთანხმება დაზღვეულთა სასარგებლოდ.
- 4.2. დამზღვევი შეთანხმებაზე ხელისმოწერით ადასტურებს, რომ შეთანხმება და მზღვეველის მიერ მისთვის გადაცემული დანართები არ შეიცავს ბუნდოვან ან უჩვეულო დებულებებს და რომ იგი სრულად გაეცნო და ეთანხმება პირობებს. დამზღვევი შეთანხმებაზე ხელისმოწერით აგრეთვე ადასტურებს, რომ ყველა დანართსა და ცვლილებას გააჩნია მისთვის სავალდებულო ძალა.
- 4.3. მზღვეველის მიერ მისთვის გადაცემული სადაზღვევო წესები არ შეიცავს ბუნდოვან ან უჩვეულო დებულებებს და რომ იგი სრულად გაეცნო და ეთანხმება პირობებს. დამზღვევი შეთანხმებაზე ხელისმოწერით აგრეთვე ადასტურებს, რომ სადაზღვევო წესებს გააჩნია მისთვის სავალდებულო ძალა.
- 4.4. „ორგანიზაცია“ აცხადებს, რომ გააჩნია ყველა საჭირო თანხმობა და ნებართვა იმისათვის, რომ დადოს ეს შეთანხმება და იკისროს წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.
- 4.5. წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე განხორციელებული სადაზღვევო მომსახურების პირობები მოცემული იქნება ამ შეთანხმების დანართ N1-ში და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 4.6. დამზღვევები აცხადებენ და თანხმობას გამოთქვამენ, რომ თუ ორგანიზაციის მიერ არ მოხდება პრემიის სრულად ან თუნდაც ნაწილობრივი გადარიცხვა, ეს წარმოადგენს ერთბაშად ყველა დაზღვეულის პოლისების გაუქმების საფუძველს.
5. სადაზღვევო პრემია, მისი გადახდის წესი და პირობები
- 5.1. წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე დამზღვევის მიერ, დაზღვეულთა სასარგებლოდ, გადასახდელი ჯამური სადაზღვევო პრემია დაანგარიშდება დანართი N1 და N2-ში წარმოდგენილი პირობებისა და დაზღვეულთა რაოდენობის შესაბამისად.
- 5.2. სადაზღვევო პრემიის გადახდა თვიურად ხდება შემდეგი სქემის მიხედვით: დაზღვეულთა რაოდენობისა და სადაზღვევო პოლისის ყოველთვიური გადასახადის შესაბამისად;
- 5.3. სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდება ყოველი -15რიცხვში, ამასთან პირველი გადახდა ხორციელდება -15.06.2014-ში; სადაზღვევო პრემიის გადახდა ხდება შემდეგი სქემის მიხედვით:
ყოველთვიური გადახდისას - სადაზღვევო პრემიის 1/12 (ერთი მეთორმეტედი) ნაწილი ფიქსირებულად.
 - 5.3.1. 15.06.2014 75 ლარი
 - 5.3.2. 15.07.2014 75 ლარი
 - 5.3.3. 15.08.2014 75 ლარი
 - 5.3.4. 15.09.2014 75 ლარი
 - 5.3.5. 15.10.2014 75 ლარი
 - 5.3.6. 15.11.2014 75 ლარი
 - 5.3.7. 15.12.2014 75 ლარი
 - 5.3.8. 15.01.2015 75 ლარი
 - 5.3.9. 15.02.2015 75 ლარი
 - 5.3.10. 15.03.2015 75 ლარი
 - 5.3.11. 15.04.2015 75 ლარი
 - 5.3.12. 15.05.2015 75 ლარი
- 5.4. წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად, დაზღვეულ პირთა რაოდენობის ცვლილების შემთხვევაში, ავტომატურად ხდება გადასახდელი პრემიის კორექტირება.
- 5.5. თუ თანხის გადახდის დღე დაემთხვა არასამუშაო ან საქართველოში გამოცხადებულ გამოსასვლელ დღეს, ამ დღის ნაცვლად გამოიყენება მომდევნო სამუშაო დღე.
- 5.6. დამზღვევი ვალდებულია ანგარისწორება მოახდინოს წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით, ყოველგვარი დამატებითი შეტყობინებისა და ინვოისის წარდგენის გარეშე; მზღვეველის მიერ ინვოისის წარუდგენლობა არ ათავისუფლებს დამზღვევს თანხის გადახდის მოვალეობისაგან.
- 5.7. პრემიის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით. ორგანიზაციის მიერ დამზღვევთა სახელფასო ანგარიშიდან თანხის მზღვეველის საბანკო ანგარიშზე მიმართვის გზით თანხა, გადახდილად ჩაითვლება მისი მზღვეველის ანგარიშზე ფაქტობრივი ჩარიცხვის შემდეგ.
- 5.8. დამზღვევის მიერ წინამდებარე შეთანხმებით დადგენილი პრემიის გადახდის წესის პირველივე დარღვევის შემთხვევაში (პრემია და/ან მისი ნაწილი დროულად ან დადგენილი ოდენობით არ იქნა გადახდილი) მზღვეველი თავისუფლდება შეთანხმებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს შეთანხმების მოქმედება და არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევები გრაფიკის დარღვევის დღიდან 14 კალენდარული დღის შემდეგ.

- ყოველგვარი შეტყობინების გარეშე. მზღვეველი დავალიანების პერიოდში დამდგარ შემთხვევებს არ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევად და ამ პერიოდში დამდგარი მომსახურება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ დაექვემდებარება.
- 5.9. ორგანიზაციის მიერ წინამდებარე შეთანხმებით დადგენილი პრემიის გადახდის წესის დარღვევის შემთხვევაში (სადაზღვევო პრემია დანართი 1-ით განსაზღვრული ყველა პირის სასარგებლოდ სრულად და/ან დროულად არ იქნა გადახდილი) მზღვეველი უფლებამოსილია გააუქმოს დაზღვევა გადახდის წესის დარღვევიდან 30 კალენდარული დღის შემდეგ ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე.
- 5.10. შეთანხმების მოქმედების შეჩერება არ ათავისუფლებს დამზღვევეს/ორგანიზაციას სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებისაგან.
6. შეთანხმების შეწყვეტისა და შესაძლო ცვლილებების განხორციელების პირობები
- 6.1. ორგანიზაციის/დამზღვევის მიერ სადაზღვევო შეთანხმების/დაზღვევის ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში ორგანიზაცია/დამზღვევი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მზღვეველს შეთანხმების მოშლის შესახებ 1 (ერთი) თვით ადრე.
- 6.2. ორგანიზაციის/დამზღვევის მიერ სადაზღვევო შეთანხმების ვადაზე ადრე მოშლის ან დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის გამო მზღვეველის მხრიდან შეთანხმების ვადაზე ადრე შეწყვეტისას დამზღვევი ვალდებულია დამატებით გადაიხადოს დაზღვევის შეწყვეტისას პოლისების შესაბამისი გამოუქმუშავებელი პრემიის 75%-ი.
- 6.3. დაზღვეულ პირთა დამატება/გაუქმება ხორციელდება ყოველთვიურად: დამატების თარიღი იმეორებს ხელშეკრულების მოქმედების ვადის პირველ რიცხვს, გაუქმება ხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის პირველ რიცხვამდე ერთი დღით ადრე.
- 6.4. დაზღვეულ პირთა სიაში დამატებისას მზღვეველს უნდა ეცნობოს წერილობით ცვლილებების ძალაში შესვლამდე 14 დღით ადრე, ხოლო დამზღვევის მიერ დაზღვევის გაუქმების სურვილის შემთხვევაში შეატყობინოს მზღვეველს ამის შესახებ დაზღვევის შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე 30 დღით ადრე.
- 6.5. დაზღვეულ პირთა სიაში დამატების შესახებ წერილობითი შეტყობინება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: დაზღვეულის სახელი/გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, მისამართი/ტელეფონი, სადაზღვევო პოლისი/პრემია, მოდული/პრემია; შერჩეული მომსახურე სამედიცინო დაწესებულება, თანამშრომლის შემთხვევაში დამატებით - სამსახურებრივი სტატუსი, სამსახურში აყვანის თარიღი და სამსახურში აყვანის ბრძანების ნომერი; ოჯახის წევრის შემთხვევაში დამატებით - ნათესაური კავშირი დაზღვეულ თანამშრომელთან მიმართებაში.
- 6.6. შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ თანამშრომლის (და მისი ოჯახის წევრის) დამატება შესაძლებელია პირველი ცხრა თვის განმავლობაში, სადაზღვევო პრემიის გადახდა მოხდება პუნქტი #5, მუხლით #5.2. განსაზღვრული ფორმულით.
- 6.7. ახალი პირების დამატებისას მზღვეველი უფლებამოსილია უარი თქვას დაზღვევაზე.
- 6.8. დაზღვეულ პირთა სიაში გაუქმების შესახებ წერილობითი შეტყობინება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: დაზღვეული (თანამშრომლის) სახელი, გვარი; პირადი ნომერი; დაბადების თარიღი; სამსახურიდან განთავისუფლების თარიღი და სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანების ნომერი; სადაზღვევო პოლისი, მოდული; იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულია თანამშრომლის ოჯახის წევრებიც, დამატებით ოჯახის წევრის სახელი, გვარი.
- 6.9. დაზღვეული თანამშრომლის სადაზღვევო პოლისის ვადაზე ადრე გაუქმება ხორციელდება მხოლოდ დაზღვეული თანამშრომლის სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში. ოჯახის წევრების დაზღვევის გაუქმება მზღვეველის მხრიდან არ განიხილება (გარდა თანამშრომლის სამსახურიდან წასვლისა).
- 6.10. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის მიერ სადაზღვევო პოლისის შეცვლა მზღვეველის მიერ არ განიხილება; დაზღვევის პაკეტის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ სადაზღვევი პერიოდის ვადის გასვლის შემდეგ განახლებისას, დამზღვევის მიერ, პოლისის ვადის ამოწურვამდე 10 დღით ადრე მოწოდებული განაცხადის საფუძველზე.
- 6.11. მომდევნო სადაზღვევო პერიოდში გეგმიური ჰოსპიტალური, ონკოლოგიური მომსახურების და მშობიარობის ანაზღაურების პირობები (დაფარვა, ლიმიტი) შეესაბამება იმ პოლისს, რომელიც დაზღვეულს ჰქონდა წინა წელს იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევა ახლდება მეტი ღირებულების სადაზღვევო პოლისით. უფრო დაბალი ღირებულების სადაზღვევო პოლისით დაზღვევის შემთხვევაში, გეგმიური ჰოსპიტალური, ონკოლოგიური მომსახურების და მშობიარობის ანაზღაურების პირობები შეესაბამება ახალ არჩეულ პოლისს. აღნიშნული სერვისების გააქტიურება, მზღვეველის მიერ ანაზღაურება, ხორციელდება მხოლოდ უწყვეტად განახლების შემთხვევაში.
- 6.12. დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს და ორგანიზაცია ვალდებულია გადახირცხოს მზღვეველის ანგარიშზე სადაზღვევო პრემია ყველა დაზღვეულზე სრულად; დაზღვევის გაუქმების შემთხვევაში დამატებით გამოუქმუშავებელი პრემიის 75%.
- 6.13. მზღვეველს შეუძლია ცალმხრივად მოშალოს სადაზღვევო შეთანხმება, ოღონდ ვალდებულია შეატყობინოს დამზღვევეს შეთანხმების მოშლის შესახებ 1 (ერთი) თვით ადრე;
- 6.14. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ჯამური სადაზღვევო პრემიის ან დაზღვეულთა რაოდენობის 30%-ით კლება, მზღვეველი უფლებამოსილია გადახედოს შეთანხმების პირობებს ან საერთოდ უარი თქვას მასზე;
7. მხარეთა უფლება – მოვალეობები
- 7.1. მზღვეველი ვალდებულია:
- 7.1.1. ორგანიზაციის მიერ შეთანხმებაში მითითებული გრაფიკის შესაბამისად გადახდილი სადაზღვევო პრემიის საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას აუნაზღაუროს დაზღვეულს (ან მოსარგებლეს) ზარალი წინამდებარე შეთანხმების # 1 დანართში მოცემული პირობების შესაბამისად;

- დამზღვევის მხრიდან შეთანხმების პირობებისა და ასევე მის ანგარიშზე ორგანიზაციის მიერ დამზღვევთა პრემიის გადმოურიცხველობის შემთხვევაში შეაჩეროს და/ან შეწყვიტოს სადაზღვევო შეთანხმება ჯამურად ყველა პირზე;
- 7.1.3. დაიცვას და არ გაახმაუროს დამზღვევთან საქმიანი ურთიერთობების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- 7.1.4. ანაზღაუროს სამედიცინო მომსახურების ხარჯები წინამდებარე შეთანხმებით და დანართებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და მზღვეველის მიერ ხარჯის ოდენობის განსაზღვრის შემდგომ;
- 7.1.5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის დამზღვევის/დაზღვეულის მიერ ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ შესარულოს დაზღვევით ნაკისრი ვალდებულება დროულად და ჯეროვნად;
- 7.2. მზღვეველი უფლებამოსილია:
- 7.2.1. დამზღვევის მხრიდან შეთანხმების პირობებისა და პრემიის გადახდის გრაფიკის პირველივე დარღვევის შემთხვევაში შეაჩეროს და/ან შეწყვიტოს სადაზღვევო შეთანხმება. პრემიის სრულად ან ნაწილობრივ გადაუხდელობის შემთხვევაში ერთბაშად გააუქმოს ყველა გაცემული პოლისი ყოველგვარი შეტყობინების გარეშე.
- 7.2.2. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დამზღვევის დაზღვევის შეთანხმებითა და დანართით გათვალისწინებული წესებისა დარღვევის შემთხვევაში.
- 7.2.3. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვეულის მიერ (ან დაზღვეულის თანამონაწილეობით) სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის და/ან ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტების გაყალბების, ასევე, ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში. ხოლო თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, დამზღვევი ვალდებულია უპირობოდ დაუბრუნოს იგი მზღვეველს; ამასთან ყოველი ასეთი პირის დაზღვევა მზღვეველის მხრიდან ექვემდებარება გაუქმებას.
- 7.2.4. მზღვეველი იტოვებს უფლებას სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოქვითოს სრული სადაზღვევო პრემიის გადაუხდელო ოდენობა.
- 7.2.5. დაზღვეული პირის სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია გადაწყვიტოს გაუგრძელოს თუ არა დაზღვეულს შეთანხმება და რა პირობებით.
- 7.2.6. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოსთხოვოს დამზღვევს ყოველგვარი ცნობა, რომელიც კი აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის ან მოვლენის ასევე ზიანის მოცულობის დასადგენად.
- 7.2.7. მომსახურების ხარჯების ანაზღაურების გაცემის შემდეგ, მზღვეველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს შესაბამისი ხარჯების კომპენსაცია იმ პირთაგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაზღვეულის ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანზე.
- 7.2.8. მოითხოვოს გაცემული ანაზღაურების დაბრუნება, თუ აღმოჩნდა, რომ ზარალის დადგომა არ იყო გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით ან დამზღვევის ბრალით შეუძლებელია რეგრესის უფლების გამოყენება.
- 7.3. დამზღვევი ვალდებულია:
- 7.3.1. დაზღვეული პირის სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში შეატყობინოს მზღვეველს წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული ინფორმაცია; მზღვეველი უფლებამოსილია გადაწყვიტოს გაუგრძელოს თუ არა დაზღვეულს შეთანხმება და რა პირობებით.
- 7.3.2. გადაიხადოს სადაზღვევო პრემია მზღვეველთან შეთანხმებული წესის მიხედვით ყველა დაზღვეულზე სრულად.
- 7.3.3. შეთანხმების დადებისას მზღვეველს შეატყობინოს ყველა ის გარემოება, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მზღვეველის გადაწყვეტილებაზე უარი თქვას შეთანხმებაზე ან დადოს იგი შეცვლილი შინაარსით.
- 7.3.4. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ შესარულოს მზღვეველის ყველა მითითება, რაც უკავშირდება სადაზღვევო შემთხვევის ან მოვლენის, ასევე ზიანის მოცულობის დადგენას.
- 7.3.5. დეტალურად გააცნოს წინამდებარე დაზღვევის პირობები დაზღვეულს. დამზღვევი ვალდებულია, რომ დაზღვეულს გააცნოს ვალდებულება, რომ მზღვეველს ენიჭება უფლება მოიძიოს და გაეცნოს ყველა იმ დოკუმენტაციას, რომელსაც მზღვეველი ჩათვლის საჭიროდ სადაზღვევო ანაზღაურებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანი.
- 7.3.6. მიანიჭოს მზღვეველს უფლება მოითხოვოს/გადაამოწმოს დაზღვეულის პირადი მონაცემები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.
- 7.3.7. უზრუნველყოს მზღვეველისათვის იმ დოკუმენტაციის სრულად გადაცემა, რომლის საფუძველზეც მზღვეველი უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს რეგრესული ანაზღაურება პირებისგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაზღვეულისათვის მიყენებულ ზიანზე.
- 7.3.8. დაზღვეულთა/მოსარგებლეთა მიერ შეთანხმებით და მისი დანართებით გათვალისწინებული ქმედებების შესრულებაზე, ასევე მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების/უმოქმედობის შეთანხმებასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია დამზღვევი, შესაბამისად მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ზიანი, თუ დაზღვეულთა/მოსარგებლეთა მიერ დარღვეული იქნება წინამდებარე შეთანხმებით და მისი დანართით გათვალისწინებული ვალდებულებები და პროცედურები.
- 7.3.9. ხელი შეუწყოს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებას.
- 7.3.10. მიანიჭოს მზღვეველს უფლება და შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში გასცეს წერილობითი თანხმობები კანონმდებლობით დადგენილი წესით, იმისათვის რომ მზღვეველმა შეუფერხებლად აწარმოოს მოკვლევა ან/და დამზღვევის/დაზღვეულის და სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ნებისმიერი დოკუმენტაციის მოპოვება სახელმწიფო, კერძო თუ სხვა სახის ორგანიზაციებში სადაზღვევო შეთანხმების დადებისთვის, რისკების კონტროლისთვის, სადაზღვევო ანაზღაურებისთვის აუცილებელი ინფორმაციის გადაამოწმების და მისი ნამდვილობის დადასტურების მიზნით.
- 7.4. დამზღვევი უფლებამოსილია:

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს მზღვეველისაგან ზარალის ანაზღაურება წინამდებარე შეთანხმების და მისი დანართის შესაბამისად.

7.5. ორგანიზაცია ვალდებულია

- 7.5.1. დასაქმებულთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე უზრუნველყოს თითოეული დასაქმებულის მიერ არჩეული სამედიცინო დაზღვევის პოლისის შესაბამისი სადაზღვევო პრემიის მათი ხელფასიდან დაკავება და გადარიცხვა „მზღვეველის“ ანგარიშზე წინამდებარე შეთანხმებაში განაზღვრული გადახდის გრაფიკისა და წესის შესაბამისად.
- 7.5.2. დაზღვეული პირის სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული ინფორმაცია და ყოველ ასეთ პირს ხელფასიდან დაუკავოს დამატებით გამოუმუშავებელი პრემიის 75% და გადახრიცხოს მზღვეველის ანგარიშზე, წინამდებარე შეთანხმებაში განაზღვრული გადახდის გრაფიკისა და წესის შესაბამისად.
- 7.5.3. დაზღვევის მიერ დაზღვევის შეთანხმების გაუქმების სურვილის შემთხვევაში შეატყობინოს მზღვეველს ამის შესახებ დაზღვევის შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე 30 დღით ადრე.
- 7.5.4. გადაიხადოს სადაზღვევო პრემია მზღვეველთან შეთანხმებული წესის მიხედვით ყველა დაზღვეულზე სრულად.
- 7.5.5. საჭიროების შემთხვევაში გადასცეს მზღვეველს დაზღვეულის შრომითი შეთანხმება და სახელფასო უწყისი, ასევე სხვა სახის მოთხოვნილი დოკუმენტაცია დაზღვეულ პირთა შესახებ.

7.6. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 7.6.1. წინამდებარე შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მხარეები პასუხს აგებენ ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 7.6.2. პრემიის ორგანიზაციის ბრალეულობით მზღვეველის ანგარიშზე მიუმართველობის ან დაგვიანებით მიმართვით ან ორგანიზაციის მიერ დასაქმებულის გათავისუფლების შესახებ ინფორმაციის მზღვეველისათვის მიუწოდებლობით/დაგვიანებით მიწოდებით გამოწვეულ ზიანზე როგორც მზღვეველის ისე დაზღვევის წინაშე პასუხს აგებს ორგანიზაცია.
- 7.6.3. დაზღვევის მიერ წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული პირობების, სადაზღვევო შემთხვევისა და მიწოდებული დოკუმენტების გაყალბების ან გაყალბების მცდელობის პირველივე შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას გააუქმოს სადაზღვევო შეთანხმება, არ აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. ხოლო თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, დამზღვევი ვალდებულია უპირობოდ დაუბრუნოს იგი მზღვეველს.
- 7.6.4. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი დაუზღვეველი შემთხვევების, აგრეთვე ნებისმიერი სახის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე შეთანხმებით.

8. შეთანხმების მოქმედების ვადა

- 8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 30.06.2014 00.00 საათიდან და მოქმედებს – 29.06.2015 24.00 საათამდე.
- 8.2. პირველი ან ერთჯერადი პრემიის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან.

9. დავების გადაწყვეტა

- 9.1. მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის შეთანხმების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მიმართ.
- 9.2. წინამდებარე შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებული დავების შემთხვევაში მხარეები უთანხმოების მოგვარებისათვის ხელშეწყობის მიზნით მიმართავენ „სადაზღვევო გზამკვლევის სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: 2 555 155, ან ელექტრონულ მისამართზე: gzamkvlevi@insurance.org.ge.
- 9.3. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.
- 9.4. გამომდინარე იქედან, რომ მხარეთა მიერ შეთანხმების შესრულების ადგილად მიჩნეულია მზღვეველის ადგილსამყოფელი, დავის განხილვა მოხდება მისი ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ საერთო სასამართლოში.

10. ფორს-მაჟორი

- 10.1. წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე შეთანხმების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე შეთანხმების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
- 10.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ): სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა.); გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა, ეპიდემიები, ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო; ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ წინამდებარე შეთანხმების დებულებებსა და პირობებს.
- 10.3. მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ფორს-მაჟორულ მოვლენასთან გათანაბრებულია მესამე პირთა ბრალეული და/ან არაბრალეული ქმედებანი, რომლებიც შეუძლებელს ხდიან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში იგულისხმება ქვეყანაში არსებული კრიზისული სიტუაცია, ენერგეტიკული კრიზისი და პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე სხვა გარემოებები.

- ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
- 10.5. ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
 - 10.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
 - 10.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება. თუ მხარეების მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობა გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე შეთანხმების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით, რომელიც მიწოდებული იქნება მხარის მიერ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულ იქნა დამკვეთის პირველადი რეგისტრაციის დროს.
11. სუბროგაცია
მზღვეველი, ხარჯების ანაზღაურების გაცემის შემდეგ, უფლებამოსილია, მოითხოვოს შესაბამისი ხარჯების კომპენსაცია იმ პირთაგან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან დაზღვეულისთვის მიყენებულ ზიანზე.
12. დამატებითი პირობები
 - 12.1. იმ შემთხვევაში თუ დაზღვეულის მიერ შეძენილი იქნება რამოდენიმე სახის დაზღვევა და/ან სადაზღვევო მომსახურება, ყველა მომსახურებისათვის სტანდარტული პირობა მოცემული იქნება წინამდებარე შეთანხმებაში, ხოლო მომსახურების კონკრეტული პირობები შესაბამის დანართში რომელს დაერთება წინამდებარე შეთანხმებას და იქნება მისი განუყოფელი შემადგენელი ნაწილი.
 - 12.2. შეთანხმებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება წერილობით, ორივე მხარის ხელმოწერით და ძალაშია ხელმოწერის შემდგომ.
 - 12.3. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობები ვრცელდება სამივე მხარის უფლებამონაცვლებზე და წარმომადგენლებზე.
 - 12.4. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, რასაც არ ითვალისწინებს წინამდებარე შეთანხმება, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
 - 12.5. შეთანხმების ხელმოწერის შემდგომ ნებისმიერი სხვა სიტყვიერი ან წერილობითი შეთანხმება შეთანხმებით მოწესრიგებულ საკითხებთან დაკავშირებით ბათილია.
 - 12.6. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე შეთანხმებით.
 - 12.7. წინამდებარე შეთანხმების თანახმად, სახელმწიფო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს.
 - 12.8. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე შეთანხმების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, შეთანხმებაში მითითებულ მისამართზე, მხარეებმა მისამართის შეცვლის შესახებ უნდა აცნობონ ერთმანეთს არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა. მისამართის/ადგილსამყოფელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მზღვეველისთვის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ჩაითვლება ორგანიზაციის მიერ მიღებულად.
 - 12.9. წინამდებარე შეთანხმების დანართები (დანართი #1 - ჯანმრთელობის დაზღვევის პირობები; დანართი #2 - დაზღვეულთა სია; შეთანხმების გაფორმების შემდეგ გაფრთხილებული ნებისმიერი ცვლილება წარმოადგენს შეთანხმების განუყოფელ ნაწილს; შეთანხმების გაფრთხილების შემდეგ გაფრთხილებული ნებისმიერი ცვლილება წარმოადგენს შეთანხმების განუყოფელ ნაწილს; შეთანხმების გაფრთხილების შემდეგ გაფრთხილებული ნებისმიერი ცვლილება წარმოადგენს შეთანხმების განუყოფელ ნაწილს; შეთანხმების გაფრთხილების შემდეგ გაფრთხილებული ნებისმიერი ცვლილება წარმოადგენს შეთანხმების განუყოფელ ნაწილს;
 - 12.10. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები

მზღვეველი	ორგანიზაცია
სს სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი	მარტვილის მუნიციპალიტეტის ნახურცილას საჯარო სკოლა
ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №67 ტელ. : (995 32) 505 111 საბანკო რეკვიზიტები თი-ბი-სი ბანკი კოდი: TBCBGE 22 დაზღვევის ანგარიშის ნომერი GE13TB110000005700652/GE საინდეტიფიკაციო კოდი 204426674 გენერალური დაფინანსების მინდობილი პირი-	მარტვილის მუნიციპალიტეტი სოფ. გურმეში ტელ. 551091230 საინდ. კოდი 235 444 015 მარტვილის მუნიციპალიტეტის ნახურცილას საჯარო სკოლის დირექტორი: აზა გადელია
	-----/ა.გადელია/



დანართი N1

1. პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო მომსახურებების განმარტებები:
 - 1.1 24 საათიანი სატელეფონო კონსულტაცია ითვალისწინებს მიმდინარე სამედიცინო დაზღვევასთან დაკავშირებულ სადღეღამისო სატელეფონო კონსულტაციას, პრობლემატური საკითხების მოგვარებას, სამედიცინო მომსახურების ორგანიზება კოორდინაციას.
 - 1.2 პირადი ექიმის მომსახურება ითვალისწინებს პოლისით განსაზღვრულ სამედიცინო დაწესებულებაში მზღვეველის მიერ მითითებული ექიმის (ზოგადი პროფილის ექიმი/თერაპევტი) კონსულტაციას, დაზღვეულის ჯანმრთელობაზე მუდმივ მეთვალყურეობას და ასაკობრივ სასკრინინგო კვლევების დაგეგმვას, სამედიცინო რეკომენდაციებით უზრუნველყოფას, სამედიცინო ისტორიის წარმოებას, საჭიროების შემთხვევაში ლაბორატორიული და ინსტრუმენტულ გამოკვლევების, ასევე სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებთან მიმართების კონსულტაციების დაგეგმვა-ორგანიზებას, საჭიროების შემთხვევაში მედიკამენტური მკურნალობის დანიშვნას.
 - 1.3 პროფილაქტიკური კვლევები ითვალისწინებს დაზღვევის მოქმედების პერიოდში პროფილაქტიკურ და პირადი ექიმის მიერ შერჩეულ ასაკის შესაბამის საკრინინგო კვლევებს ჰიპერტონული დაავადების, გულ-სისხლძარღვთა დაავადებისა და შაქრიანი დიაბეტისათვის – წელიწადში ერთხელ, შემდეგი სახეობებით:
 - სისხლის საერთო ანალიზი
 - შარდის საერთო ანალიზი
 - საერთო ქოლესტერინის განსაზღვრა სისხლში
 - ელექტროკარდიოგრაფია,
 - გლუკოზის განსაზღვრა პერიფერიულ სისხლში.
 პროფილაქტიკური კვლევები დაფინანსდება პოლისში მითითებულ მომსახურე სამედიცინო დაწესებულებაში - პოლისის პირობების შესაბამისად.
 - 1.4 გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება ითვალისწინებს ქვემოთ ჩამოთვლილი პოზიტიური სით განსაზღვრული შემთხვევების დროს საჭირო სამედიცინო მომსახურების (სპეციალისტის კონსულტაცია, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევები, ამბულატორიული მანიპულაციები, მედიკამენტები) ღირებულების ანაზღაურებას, პოლისის პირობების შესაბამისად, რომელიც დაზღვეულს უნდა გაეწიოს შემთხვევის დადგომიდან პირველი 24 საათის განმავლობაში და რომელთა მეტ ხნით გადავადება იწვევს დაზღვეულის სიკვდილს ან დაინვალიდებას.

100%-ით ანაზღაურდება უბედური შემთხვევით გამოწვეული და გადაუდებელი ამბულატორიული შემთხვევები ამ ჩამონათვალის (ე.წ. „პოზიტიური“ სიის) შესაბამისად:

 - გადაუდებელი ამბულატორიული შემთხვევების და შესაბამისი მომსახურების პოზიტიური სია:
 - კრილობა: კრილობის ქირურგიული დამუშავება და გაკერვა. მედიკამენტები, ანტირაბიული და ანტიტეტანური ვაქცინაცია.
 - სისხლდენა: ექიმის კონსულტაცია, ტამპონადა, კოაგულანტები.
 - უცხო სხეული: უცხო სხეულის ამოღება.
 - თერმული, ქიმიური, ელექტროკონტაქტური დაზიანება - კონსულტაცია, დაზიანებული უბნის ქირურგიული დამუშავება, შეხვევა.
 - ცხვირიდან სისხლდენა: კონსულტაცია, წინა ტამპონადა.
 - გულის რითმის დარღვევები: ელექტროკარდიოგრამა, რითმის სტაბილიზაცია.

- გულის რითმის დარღვევები: ელექტროკარდიოგრამა, რითმის სტაბილიზაცია.
